



განხილულია ჰუმანიტარული
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
(ოქმი № 1/20.01.2016)
დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის

ოქმი №1/2016 გადაწყვეტილებით
თჰუ რექტორის 2016 წლის 06.02. N17/07 ბრძანებით
განხილულია

თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 თებერვლის №02/2017/გადაწყვეტილებით
დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N 17/01 ბრძანებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის დასახელება - ფსიქოლოგია

მიმართულება: 07-სოციალური მეცნიერებები

დარგი/სპეციალობა - 0707-ფსიქოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით ხანგრძლივობა - 240 კრედიტი, საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, 1 სემესტრის მანძილზე 30 კრედიტი; პროგრამის საერთო ხანგრძლივობა - 4 წელი, 8 სემესტრი.

სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1.თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში .

3. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბროს: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და ერთ-ერთი უცხოური ენა. არჩევითი საგნებიდან აბიტურიენტს შეუძლია ჩააბროს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი არჩევითი საგანი.

4. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესისა და სასწავლო უნივერსიტეტის გადმოყვანის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი რუსუდან ესებუა, თანახელმძღვანელი ფსიქოლოგიის დოქტორი კახი კოპალიანი (იხ. CV)

1. სფეროს აღწერა

პროგრამის აქტუალობა

თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და საქმიანი ცხოვრების რიტმის ინტენსივობის ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება ფსიქოლოგიის პროფესია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საგანმანათლებლო თუ სხვა სპეციალური დანიშნულების დაწესებულებებში, ჯანდაცვის სფეროში, სარეკლამო და PR ინდუსტრიაში; აშკარად აღინიშნება მოთხოვნა ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია სხვადასხვა სახის ორგანიზაციების განვითარება ფსიქოლოგიის მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ისეთ პერსონალზე რომლებიც ფლობენ საბაზისო თეორიულ ცოდნას ფსიქოლოგიური დარგების ძირითად დისციპლინებში და გამომუშავებული აქვთ ისეთი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც ეფუძნება პიროვნების მიმართ მთლიანობით მიდგომას, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პრინციპებსა და განწყობას.

ბის კანონზომიერებებს. შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს ფართო სპექტრის პრაქტიკოსი-ფსიქოლოგიის მომზადებას, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნას კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე.

2. პროგრამის მიზანი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ფსიქოლოგიის დარგში, უზრუნველყოს როგორც დარგობრივი თეორიული ცოდნის ათვისება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემუშავება, ისე ზოგადი უნარების განვითარება. უზრუნველყოს სტუდენტის პიროვნული განვითარება და ჩართულობა სასწავლო-სამეცნიერო პროცესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხელი შეუწყოს სტუდენტის მოქალაქეობრივი და დემოკრატიული თვითშეგნების განვითარებას – პროგრამის განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობის გზით. მოამზადოს სტუდენტი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. მისცეს სტუდენტს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები შემდგომ საფეხურებზე სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამა მოდულურ სქემას, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასა (ECTS) და სწავლების შესაბამისი დონის საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება. მისი თავსებადობა უმაღლესი განათლების აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, პრინციპებსა და მეთოდოლოგიასთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას. დასაქმების ბაზრის უწყვეტი კვლევა იძლევა პროგრამის მუდმივი განახლების საშუალებას. პროგრამის მოდულური, მოქნილი და ეკონომიური სტრუქტურა კი, თავის მხრივ, იძლევა ასეთი განახლების შესაძლებლობას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულიად მიღწევადია, შესაბამისობაშია სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია წვლილი შეიტანოს პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში, მისი შემოქმედებითი და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, უზრუნველყოს სტუდენტებში უმაღლესი განათლების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირება და მის მიერ თანამედროვე ცოდნის შექმნა; უზრუნველყოს საქართველოს შიდაეროვნული შრომის ბაზარი, დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტებით. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე: ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

3. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო თეორიული მომზადება და პრაქტიკული მზაობა ფსიქოლოგიის მიმართულებით.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს თანახმად ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (საუნივერსიტეტო, სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი, კონცენტრაციის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების) მიზანშეწონიერების, სწავლის და სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა

კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე-მაგისტრატურაში და დასაქმების ბაზარზე.

➤ **ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიაში არსებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ის აცნობიერებს თავისი პროფესიის არსსა და სოციალურ მნიშვნელობას, ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს:

- აქვს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ;
- იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ აღმოჩენებს; იცის ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; იცნობს ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს; იცნობს ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს და ფსიქოლოგიის ძირითად დარგებს (სოციალური, პიროვნების, განვითარების, განათლების, კლინიკური, განწყობის და სხვ.)
- აქვს ცოდნა პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად საკითხებზე, პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიაზე თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ეტაპებზე, პიროვნების მეცნიერული შესწავლის თავისებურებებზე;
- აქვს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების, სოციალური ფსიქოლოგიის თეორიების, სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების ცოდნა; სტუდენტს აქვს თეორიული ცოდნა ბავშვის ფსიქიკის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ; გარკვეულია ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ტერმინებში; იცნობს ბიჰევიორისტულ, კოგნიტურ, ფსიქოსოციალურ თეორიებს;
- იცის კლინიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ასპექტები, პათოფსიქოლოგიური კვლევების მეთოდური საფუძვლები და ფსიქოფიზიოლოგიის თეორიული საფუძვლები, ძირითადი ცნებები; გააცნობიერა ფსიქოფიზიოლოგიური კვლევის საკითხები;
- ასევე სტუდენტი ფლობს კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიას და მის თანამედროვე მდგომარეობის ასპექტებს;
- ერკვევა განწყობის ფსიქოლოგიის ასპექტებში
- შეიძინა საჭირო ცოდნა კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის (SPSS) გამოსაყენებლად. სტუდენტს აქვს: ცოდნა დისპოზიციური განწყობების შესახებ; გაცნობიერებული ფსიქიკის მუშაობის ორი პლანი [ცნობიერი და არაცნობიერი] და ორი დონე [განწყობის და ობიექტივაციის]; ცოდნა ადამიანის ფსიქიკური აქტივობის დონეების [ინდივიდი, სუბიექტი, პიროვნება] შესაბამისი განწყობების სტრუქტურისა და კომპონენტების შესახებ.

➤ **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

სტუდენტს შეუძლია ფსიქოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად:

- შეუძლია ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგნისა და ამოცანების დახასიათება;
- შეუძლია თეორიული თუ ემპირიული/ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით მათი გადაჭრა,

ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხების (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართ;

- შეუძლია კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

სტუდენტს შეუძლია:

- პიროვნების აღქმა და შეფასება პიროვნების ფსიქოლოგიის ცოდნის შესაბამისად;
- პიროვნების პრობლემათა დიაგნოსტიკა (საწყის ეტაპზე); სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ქცევაზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში, მათი საკორექციო სამუშაოს განსაზღვრა; მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის (SPSS) გამოყენებით ემპირიული თუ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური კვლევის მასალის დამოუკიდებლად დამუშავება; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად როგორც ფუნდამენტური, ისე პრაქტიკული ხასიათის ფსიქოლოგიური ემპირიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.
- სტუდენტს აქვს ფსიქიკური პროცესების (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება) მახასიათებლებისა და მათი პრობლემატიკის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი; პიროვნების თეორიების შედარების უნარი.
- სტუდენტს შეუძლია შეგრძნების, აღქმისა და განსაკუთრებით, ყურადღების ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის გამოყენება; კლინიკურ-ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და მიღებული შედეგის შეფასება; სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით სტუდენტს აქვს მოზარდის ფსიქო-ფიზიოლოგიური და სოციალური განვითარების სფეროში პრაქტიკული სამუშაოს წარმატებით განხორციელების უნარი.

სტუდენტს შეუძლია განწყობის ფსიქოლოგიის თეორიულ-მედიოლოგიური ცოდნის რეპროდუქცია და საჭირო სიტუაციაში მისი ადექვატური გამოყენება.

დასკვნის უნარი – სტუდენტს შეუძლია ფსიქოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი ფსიქოლოგიაში აღიარებული და აპრობირებული სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება;

სტუდენტს შეუძლია

- ფსიქოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზი, განმარტება, ჯეროვანი დასკვნების გაკეთება; გააჩნია ინფორმაციის (მონაცემების თუ სიტუაციის) ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. სტუდენტს აქვს ფსიქიკური პროცესების (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება) მახასიათებლებისა და მათი პრობლემატიკის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი; პიროვნების თეორიების შედარების უნარი; ქცევის სტრუქტურის, აღმძვრელი მექანიზმების, ფორმების აბსტრაქტული აზროვნების, გაანალიზების, სინთეზისა ინტერპრეტაციისა და ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი; პროგრამამ განუვითარა სტუდენტს უნარი პრობლემურ სიტუაციაში გააკეთოს ლოგიკური დასკვნა და მონახოს მისი გადაჭრისთვის სწორი გზა; სტუდენტს შეუძლია გარდამავალი და უფროსი ასაკისთვის დამახასიათებელი ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური წარმოშობის მოთხოვნილებების შედარებითი ანალიზი; შეუძლია სოციალური ურთიერთობის ფენომენების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; ემპირიული კვლევების მონაცემების საფუძველზე სოციალურ მოვლენებში პრობლემების იდენტიფიცირება. სტუდენტს შეუძლია სოციალიზაციის ეტაპების შედარებითი ანალიზი სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით. სტუდენტს შეუძლია: ადამიანის ქცევისა და საქმიანობის ფორმების [ინტროგენური და ექსტროგენური]

განალიზება, განზოგადება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა; სოციალური განწყობის თავისებურებების შედარებითი ანალიზი.

➤ **კომუნიკაციის უნარი** ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიაში არსებული იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, რუსული ან გერმანული B 2 დონეზე), იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; შეუძლია პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა, ანგარიშის დაწერა ფსიქოლოგიის სფეროს ტერმინოლოგიის გამოყენებით; კურსდამთავრებულს აქვს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობის უნარი, რაც გამოიხატება პრობლემის თუ ამოცანის შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გადმოცემაში; მას შეუძლია მონაწილეობის მიღება ფსიქოლოგიურ თემებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, პროფესიულ საზოგადოებასთან მოლაპარაკების წარმოება და თავისი მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის მომზადება; შეუძლია კომპლექსური საკითხის/ კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა /პრეზენტაცია, იცის კომუნიკაციის წარმართვა ფსიქოლოგიის სფეროში ამა თუ იმ საკითხზე; აცნობიერებს უცხო ენაზე მეტყველების თავისებურებების პრინციპებს და აკმაყოფილებს 4-ვე სამეტყველო კომპეტენციისადმი (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) წაყენებულ მოთხოვნებს. სტუდენტმა იცის ფსიქოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; სტუდენტმა იცის კომუნიკაციის წარმართვა ფსიქოლოგიის სფეროში ამა თუ იმ საკითხზე; აცნობიერებს უცხო ენაზე მეტყველების თავისებურებების პრინციპებს.

გაეცნო ფსიქოლოგიის ზოგად ასპექტებს ერთ-ერთ უცხო ენაზე, ცხოვრებისეულ და პროფესიულ პრობლემებთან (კომუნიკაცია, ლიდერობა და მართვა, მოლაპარაკებები, სოციალური პერცეფცია, თვითრეგულაცია და ა.შ.) დაკავშირებულ კანონზომიერებებს და მათი გადაჭრის პრაქტიკულ ხერხებს. სტუდენტს შეუძლია: დისკუსიის წარმართვა პიროვნების ფსიქიკური ნიშნებისა და დისპოზიციური განწყობის თავისებურებების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; ზეპირი და წერილობითი ფორმით განწყობისა და ობიექტივაციის დონეების დახასიათება.

სწავლის უნარი

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ფსიქოლოგიის დარგის საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; კერძოდ:

სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი; საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. შეუძლია სხვათა ხელმძღვანელობით, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა; შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა/განსაზღვრა; ფსიქოლოგიის სფეროში დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობა კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. რეგულარულად ანახლებს ცოდნას დარგობრივი

ლიტერატურის კითხვით. სტუდენტს აქვს ინოვაციების ათვისების მზაობა და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობის უნარი; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. სტუდენტს შეუძლია განწყობის ფსიქოლოგიის სფეროში უახლესი ინფორმაციის მოძიება და პრაქტიკაში გამოყენება.

ღირებულებები – სტუდენტს შეუძლია პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა:

დარგობრივი უნარები

იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს – ჰუმანიზმს, მიუკერძოებლობას, კონფიდენციალობის დაცვას, ტოლერანტობას, პროფესიულ კეთილსინდისიერებას და სხვ. – დაცვა, ჯამრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში მონაწილეობა.

სტუდენტს გაცნობიერებული აქვს ფსიქოლოგიური მეცნიერების სტრუქტურისა და დარგების ურთიერთმიმართების სპეციფიკა; იცნობს ადამიანთა ფსიქიკური თვისებებისა და ნიშნების დადგენის მეცნიერულ ხერხებს. გააჩნია ღირებულებათა პროფესიული გამოცდილების შეძენისა და ზრდის უნარი.

სტუდენტს გათავისებული აქვს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში შემოსული ინოვაციების მიმღებლობა და მათ დამკვიდრებაში მონაწილეობა; გააჩნია პროფესიული კეთილსინდისიერება; ფსიქოლოგიის ეთიკური ნორმების დაცვით აღიარებს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებას; სტუდენტი ფლობს უმაღლეს ღირებულებას: პიროვნების ღირსების დაცვას; იცავს ფსიქოლოგიური კვლევის ეთიკის სტანდარტებს და გააჩნობიერა „თვითდაჯერებულობის ბარიერის“ (overconfidence barrier) ფენომენი, პროფესიული კორექტულობა (მეცნიერული ეთიკის სტანდარტების დაცვა).

სტუდენტი აცნობიერებს განწყობის თეორიის მეცნიერულ ღირებულებას და შეუძლია როგორც პროფესიულ ასევე არაპროფესიულ წრეებში მისი ფასეულობის ცხადყოფაში აქტიური მონაწილეობა.

ზოგადი /ტრანსფერული/ უნარები

გააჩნია პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული, სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებული ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კულტურათაშორისი შემწყნარებლობის პასუხისმგებლობას ორგანიზაციასა და საზოგადოებაში.

სავალდებულო/არჩევითი მოდულის სწავლის შედეგები

პროგრამით შეთავაზებული თითოეული მოდული (სოციალური ფსიქოლოგია/კლინიკური ფსიქოლოგია პროგრამის საბაზო სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად უზრუნველყოფს კურდამთავრებულისთვის შემდეგი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას:

მოდული - სოციალური ფსიქოლოგია

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება:

ცოდნა ურთიერთობის ფსიქოლოგიის საკვანძო საკითხების შესახებ; სოციალური ურთიერთობის ბუნების, ფორმების და კანონზომიერებათა შესახებ; ურთიერთობის დინამიკისა და სტრატეგიების შესახებ;

საბაზისო თეორიული ცოდნა სოციალური გავლენის ინტერაქციული მოდელის, თანდასწრების ეფექტის, რეაქციული წინააღმდეგობის, გადაწყვეტილების მიღებაზე ჯგუფის გავლენის, კლიენტზე ექიმის და, ზოგადად, ჯანმრთელობაზე სოციალური გავლენის ფენომენისა და მისი მოქმედების სფეროების შესახებ; ფსიქოთერაპიის, როგორც გავლენის ერთ-ერთი ფორმის შესახებ;

ეცოდინება ფსიქოთერაპიული მოდელები, რაციონალური თერაპია, ფსიქოანალიტიკური ტექნიკა, კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპია, გეშტალტთერაპია;

ექნება ცოდნა სოციალური გავლენის ისეთი ფენომენების შესახებ, როგორცაა ურთიერთგაცვლის, დეფიციტის, პასუხისმგებლობისა და თანმიმდევრულობის, კეთილგანწყობის, ავტორიტეტის ფენომენი;

სტუდენტს აქვს:

ორგანიზაციის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლების ცოდნა;

იცის ორგანიზაციის სტრუქტურა და მისი ფორმები ; შრომითი ჯგუფები, მისი ფორმირების მექანიზმები, განვითარებისა და ფორმები; მენეჯერისა და ლიდერის მახასიათებლები;

ექნება ცოდნა ორგანიზაციაში ჯგუფთაშორისი ურთიერთობების, კონფლიქტისა და მისი გადაწყვეტისა და კადრების შერჩევის, სამუშაოს ანალიზისა და შრომის ატესტაციის შესახებ.

სტუდენტი იცნობს სოციალური მართვის არსს, სტრუქტურებსა და ფუნქციებს;

გარკვეულია მართვის ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ტერმინებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება:

ინტერპერსონალური ურთიერთობის სფეროში არსებული სირთულეების ამოცნობისა და მათი კორექციის უნარი; საჭიროების შემთხვევაში ადამიანთა ურთიერთობის სფეროში პრაქტიკული ამოცანების წარმატებით გადაჭრის უნარი; ხელმძღვანელის დახმარებით საზოგადოებრივი ურთიერთობის აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და საკვლევი სქემების შემუშავების უნარი; სოციალური ურთიერთობის კანონზომიერებების გამოყენებით კონფლიქტური სიტუაციების რეგულირების უნარი;

სტუდენტს შეუძლია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ორგანიზაციულ პრობლემათა ზუსტი იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე.

სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით სტუდენტს აქვს:

მართვის სფეროში პრაქტიკული სამუშაოს წარმატებით განხორციელების უნარი; შეუძლია სოციალური მართვის ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება შრომით ორგანიზაციაში;

პრობლემური ორგანიზაციული სიტუაციების მართვახელმძღვანელის მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი

მოდულის დასრულების შემდეგ **სტუდენტს შეუძლია** პიროვნული ურთიერთობების მიზეზ-შედეგობრივ ჭრილში ანალიზი; სოციალური ურთიერთობების ფორმირების თავისებურებების განსაზღვრა და შეფასება;

ექნება:მეცნიერულ ცნებათა განსაზღვრების, საჭირო ტერმინებით ოპერირებისა და ანალიტიკური მსჯელობის საფუძველზე ჯეროვანი დასკვნის გაკეთების უნარი საკითხებზე-ცალმხრივი და ორმხრივი სოციალური გავლენები; სოციალური გავლენის ფუნქციონალისტური და ინტერაქციონალისტური მოდელები; სოციალური ნორმები და სოციალური ინტერაქცია პრობლემის განსაზღვრისა და ანალიტიკური მსჯელობის საფუძველზე ჯეროვანი დასკვნის გაკეთების უნარი;

სტუდენტს შეუძლია:

ორგანიზაციის სტრუქტურისა და მისი ფორმების შეფასება და იდენტიფიცირება; შრომითი ჯგუფების, მისი ფორმირების მექანიზმების, განვითარებისა და ფორმების შედარებითი ანალიზი; მენეჯერისა და ლიდერის მახასიათებლების შეფასება; კადრების შერჩევისა და სამუშაოს ანალიზისფსიქოლოგიური გაანალიზება; კონკურენციის გამწვავების იდენტიფიცირება.

სტუდენტს შეუძლია მართვის პროცესში ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზი, მართვის პროცესში სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების შეფასება და ადექვატური გადაწყვეტილების მიღება (სწორი მმართველობითი რეკომენდაციების შემუშავება), გააჩნია მართვის პროცესში კრიტიკული სიტუციების გაანალიზებისა და შეფასების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება საკმისი ურთიერთობის პროცესში თვითპრეზენტაციის უნარი; ეფექტური ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარი; ჯგუფში მუშაობის უნარი; აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის მოძიებული ინფორმაციის წერილობითი და ზეპირი ფორმით წარდგენის უნარი; ინტერნეტტექნოლოგიების აკადემიური მიზნით გამოყენების უნარი; დაინტერესებულ საზოგადოებასთან - სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან - ფსიქოლოგიური გავლენის ფენომენის, კერძოდ, პირდაპირი და ირიბი, ცალმხრივი და ორმხრივი გავლენის, ბავშვობისა და ზრდასრულობის პერიოდში განცდილი გავლენის შესახებ მსჯელობა; სტუდენტს შეუძლია: ორგანიზაციის სტრუქტურისა და მისი ფორმების, შრომითი ჯგუფებისა და მისი ფორმების დახასიათება; სამუშაოს ანალიზის, კადრების შერჩევის, კონკურენტუნიანობისა და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სხვა საკითხთა შესახებ კომუნიკაცია და ინფორმაციის წარდგენა წერილობითი და ზეპირი სახით სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის.

სწავლის უნარი:

სტუდენტს ექნება: სოციალური ფსიქოლოგიის სამეცნიერო ლიტერატურიდან საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და სათანადოდ სტრუქტურირების უნარი.

ღირებულებები

მოდულის დასრულების შემდეგ **სტუდენტს ექნება:**

სამეცნიერო სიახლეების ათვისებისა და მათი საზოგადოებაში დამკვიდრების მზაობა; პროფესიული კეთილსინდისიერება; კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მასზე გაწონასწორებულად რეაგირების უნარი

სტუდენტს აქვს გათავისებულებული ორგანიზაციის რესურსების მართვის ეთიკური პრინციპები; გათავისებულებული ტოლერანტობა და განსხვავებული აზრის პატივისცემა შრომით ორგანიზაციაში.

მოდული - კლინიკური ფსიქოლოგია

ცოდნა და გაცნობიერება

მოდულის დასრულების შედეგად სტუდენტმა იცის ფსიქიკური პროცესების, პიროვნული და ქცევითი დარღვევების ძირითადი მახასიათებლები, დარღვევებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერები, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები;

სტუდენტს აქვს ადამიანის ქცევაში თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების

როლის შესახებ ცოდნა; თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომებისა და სინდრომების შესახებ ცოდნა; თავის ტვინის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური შეფასების ზოგადი პრინციპების შესახებ ცოდნა.

იცის კვლევის ნეიროფსიქოლოგიური მეთოდები.

სტუდენტს აქვს თეორიული ცოდნა ფსიქოდიანოსტიკის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, მისი ისტორიული განვითარებისა და შეფასების კლასიფიკაციის შესახებ. **ერკვევა** ფსიქოდიანოსტიკისასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს.

სტუდენტმა იცის კონსულტირების პროცესის სტრუქტურა და დინამიკა; კონსულტაციური კონტაქტის მხარდაჭერის ხერხები და ფსიქოლოგიური კონსულტირების სპეციალური პრობლემები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტი ფლობს ფსიქიკურ პროცესთა ფუნქციონის დარღვევის პირობებში ქცევის ანალიზის კრიტერიუმებსა და პრინციპებს; შეუძლია სხვადასხვა დარღვევების ფსიქოლოგიური შეფასებისა და დიაგნოსტიკის ძირითად კრიტერიუმებში ორიენტირება.

სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით სტუდენტს შეუძლია კვლევის დაგეგმვა და ფსიქოდიანოსტიკის მეთოდების გამოყენება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სხვადასხვა ფსიქიკური პროცესის დიაგნოსტიკა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

სტუდენტს შეუძლია: სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების დანახვა, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციათა მოდელირება და შესწავლა; საკონსულტაციო - პრაქტიკული სამუშაოს განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

დასკვნის უნარი

სტუდენტს შეუძლია პროფესიული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელი მონაცემების შეგროვება და მათი გამოყენების ფორმის თაობაზე დასკვნის მიღება, ასევე გამოყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

შეუძლია დიაგნოსტიკური თეორიების შედარებითი ანალიზი, სადიაგნოსტიკო საშუალებების შერჩევა და განსაზღვრა, სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესთა შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და ინტერპრეტირება. სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, კომუნიკაცია პროფესიული ურთიერთობის სფეროში ქართულ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: საჯარო განხილვაში მონაწილეობა; კონკრეტული სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსულტირების საკითხის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მის სტრუქტურირება და აკადემიური თუ ფართო საზოგადოებისათვის მისი წარდგენა ზეპირი თუ წერილობითი ფორმით.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს გააზრებული აქვს სწავლისა და განვითარების მიმართულებით ცოდნის მუდმივად გადრმავების აუცილებლობა, როგორც პროფესიაში წარმატების პირობა, შეუძლია ფსიქოლოგიური ლიტერატურის (წიგნების, სტატიების) მოძიება პროფესიული და ზოგადი განათლების ასამაღლებლად; **სტუდენტს აქვს** სწავლის ცოდნის მუდმივი განახლების უნარი და შეუძლია ინფორმაციის მართვა. სტუდენტს შეუძლია ფსიქოდიანგნოსტიკის სფეროში ლიტერატურის მოძიება და ცოდნის მუდმივი განახლება, სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა.

ღირებულებები

სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

კურსდამთავრებულს აქვს: პროფესიონალი ფსიქოლოგისთვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული საქმიანობის ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედებას გულისხმობს; გააჩნია ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულებების ასათვისებლად სწრაფვა; სოციალური ღირებულებების ფორმირებისა და მათი ურთიერთობის პროცესში დამკვიდრებისას საჭირო პასუხისმგებლობა; პროფესიული ღირებულებებისადმი პატივისცემისა და საზოგადოებაში საკუთარი პროფესიის შესახებ ადექვატური წარმოდგენების ფორმირების ხელშეწყობის უნარი; საზოგადოებისთვის ღირებული ინოვაციების ასათვისებლად და დასაწერად მზაობა; ადამიანთა ურთიერთობებში კორექტულობის მნიშვნელობის ცნობიერება; ფსიქოლოგიის პროფესიის, როგორც სოციალური ღირებულების ცნობიერება და საზოგადოებაში ამ ღირებულების დამკვიდრების მცდელობა.

4. სწავლის შედეგების მიღწევის სწავლა/სწავლების მეთოდები

ფსიქოლოგიის პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც უნივერსალური და აპრობირებული სწავლების მეთოდები, ისე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ფსიქოლოგიის მიმართულებით და მათი დახმარებით სტუდენტს უმუშავდება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, კერძოდ:

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა

უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

ლექცია-დისკუსია ნიშნავს ლექტორის მიერ გადმოცემული ახალი თემის ახსნის პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართულობას დიკუსიის სახით სალექციო თემის განმტკიცების მიზნით.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის. დამოუკიდებელი მუშაობის მეშვეობით სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

საწარმოო პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

სწავლებისას გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა:

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ. წიგნის დამუშავების მეთოდი;

ვებალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უწვდის სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
